საქართველოს მთავრობის

დადგენილება №410

2023 წლის 17 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, №168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის („დებულება სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“):

1. №2[1] დანართით განსაზღვრული ცხრილის („სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები“) „საერთო სანებართვო პირობების“ 28-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

28.	შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა	ნებართვის მაძიებელმა/მფლობელმა ნებართვის გამცემს უნდა წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი მოიპოვოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე და წარუდგინოს ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების დაცვის შესახებ წინა წლის ანგარიშგებასთან ერთად. **შენიშვნა:** ნებართვის მფლობელი ვალდებულია, აღნიშნული პირობა (გარდა სანებართვო პირობისა – „საოპერაციო დარბაზი უზრუნველყოფილია სამედიცინო დანიშნულების აირების მიწოდების უსაფრთხო ქსელით“) დააკმაყოფილოს 2024 წლის 1 ოქტომბრამდე. ამასთანავე, ამ დადგენილების ცვლილების ამოქმედების დროისათვის ნებართვის მფლობელი სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, ნებართვის გამცემს წარუდგინოს: 1. 2024 წლის 1 იანვრამდე – სახანძრო უსაფრთოხების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე სახანძრო უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული მიწერილობა. 2. 2024 წლის 1 ოქტომბრამდე – შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

.“.

2. №2[2] დანართით განსაზღვრული ცხრილის („სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სტაციონარის სანებართვო პირობები“) „სანებართვო პირობების“ 28-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

		სარეაბილიტაციო-გამაჯანსაღებელი სერვისის/დეპარტამენტის სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში ინტეგრირების შემთხვევაში, შესაძლებელია სტაციონარული დაწესებულების საევაკუაციო გასასვლელით სარგებლობა, თუ შენობა-ნაგებობის დაგეგმარება იძლევა ამის საშუალებას.
28.	შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა	ნებართვის მაძიებელმა/მფლობელმა ნებართვის გამცემს უნდა წარუდგინოს შესაბამისი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ნებართვის მფლობელი ვალდებულია, სრული შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი მოიპოვოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ, საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე და წარუდგინოს ნებართვის გამცემს სანებართვო პირობების დაცვის შესახებ წინა წლის ანგარიშგებასთან ერთად. **შენიშვნა:** ნებართვის მფლობელი ვალდებულია, აღნიშნული პირობა დააკმაყოფილოს 2024 წლის 1 ოქტომბრამდე. ამასთანავე, ამ დადგენილების ცვლილების ამოქმედების დროისათვის ნებართვის მფლობელი სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, ნებართვის გამცემს წარუდგინოს: 1. 2024 წლის 1 იანვრამდე – სახანძრო უსაფრთოხების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე სახანძრო უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული მიწერილობა. 2. 2024 წლის 1 ოქტომბრამდე – შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**